



ნ.ა. მამია მალაქოვიანი

- დროსა? არ არის და არც არასდროს აღარ იქ-  
ნება ნაშაღო და ნაქაუბი ზეშორის რაქებები?

# «ნანა» ჟურნალს თქოვში

**კახეთში** გამგზავრება რომ გა-  
დავწყვიტეთ. იმავე წამს ცას ავხედეთ, რად-  
გან ამ ბოლო წლებში ბუნება იმდენად გა-  
ჭირვეულდა, რომ ფრიად სასიამოვნო სიტ-  
ყვა „კახეთი“ მეტად არასასიამოვნო  
სიტყვა „სეტყვის“ ასოციაციას იწვევს.  
მაგრამ იმავე წამს გულში გავივლეთ:  
„ღმერთმა დაგიფაროსო“ და საქართველოს  
მარანს ნათელი და ალაგ-ალაგ ნაღვეები  
ვუსურვეთ მუქუნა წვიმის სახით. მხოლოდ  
ამის შემდეგ ჩავთვალეთ თავი უფლებამო-  
სილად, რომ ალაზნის ველის ზღვიანი შე-  
გვეხსნა და „ნინავიც“ კახეთის სტუმრად  
იქცა. თუმცა ბოდიში უნდა მოგიხადოთ —  
„ნინავიც“ ყველასათვის სასურველი სტუმარ-  
ი ვერ იქნება და ამაში ჩვენი მკითხველიც  
მაღე დარწმუნდება. ჩვენი წერილი კი იმის  
გაცნობით უნდა დაიწყოს, თუ რა მნიშვნე-  
ლოვან საბუთოებს ატარებენ გურჯაანელი  
და თელაველი მშრომლები იმ დიდი მოვ-  
ლენების ფონზე. როგორცაა გარდაქმნა!

**კაჭრეთში** რკინაბეტონის ნაკე-  
თობათა ქარხნის დირექტორს ნოდარ გვა-  
რამაძეს შემოდგომის ცივ ამინდშიც კი  
ცხელი დღეები უდგას. მოდი და ნუ დაცხე-  
ბა, როცა საწარმო მალე სრულ სამეურნეო  
ანგარიშზე უნდა გადავიდეს და საკუთარი  
თავი თვითონ არჩინოს!

— ამიტომაც გვიდგას ცხელი დღეები! —  
ამბობს დირექტორი, — საწარმოს ეკონო-  
მიკური მართვის ძირეული გარდაქმნისათ-  
ვის თუ თავიდან არ გავჩიეთ დიდი მუშაობა,  
მერე გვიან იქნება, რადგან გაკოტრება არ  
ავცდებია. „ნინავიც“ ხომ სიცოცხლის საქმეს  
ემსახურება, გაკოტრებული კაცის სიცოცხ-  
ლი

კი მთლად კარგი ამბის მომასწავებელი არ  
უნდა იყოს!..

ამავე აზრისანი არიან ქარხნის მოწინა-  
ვე ადამიანები: უშანგ რაქვიანაშვილი, თეი-  
მურაზ ჯიქურაშვილი, ავთანდილ გოგი-  
ლაშვილი და სხვები. ზუსტი ეკონომიკური  
განგარიშებების გამოყვანა ჯერ ძნელია,  
მაგრამ ქარხნის მშრომლები უკვე ჯიბეებს  
იგანიერებენ, რადგან თვითდაფინანსების  
პირველ ეტაპზე საშუალო ხელფასი 50-100  
მანეთით გაიზარდება, შემდეგ კი — მეტა-  
დც.

ასევე წარმატებით მიიწევენ წინ თელა-  
ვის რაიონის ის საწარმოები, რომლებიც  
ახალი წლიდან საკუთარ ქისას დაიკიდებენ  
ქამარზე და მით ირჩენენ თავს. ახლოს იმ-  
ყოფებიან მიზანთან თელაველი ადგილობ-  
რივი მრეწველობის მუშაკები. მაგრამ მათ  
და მათსავე გურჯაანელ კოლეგებს ერთი  
პრობლემა აწუხებთ, რომლის არსიც მათ...  
ერთიანობაში იმალება! ნუ გაგაოცებთ ეს  
უცნაური შედარება. საქმე ის არის, რომ  
რამდენიმე ხნის წინათ რესპუბლიკის სა-  
მეურნეო ხელმძღვანელობამ საქმის ინტე-  
რესებიდან გამომდინარე დააყენა ადგილობ-  
რივი მრეწველობის სარაიონთაშორისო  
გაერთიანების შექმნის საკითხი. ამ შემთ-  
ხვევაში, როგორც წესი, სუსტს შეუერთე-  
ბენ ხოლმე ძლიერს. კახეთში კი პირიქით  
მოხდა — გურჯაანელებმა ჯერ მათთან შე-  
მაჯავლი კატრეთის სამკერვალო ფაბრიკა  
გადასცეს საგარეჯოს ადგილობრივი მრე-  
წველობის კომბინატს, რითაც კიდევ უფრო  
დაისუსტეს თავი, რადგან მხოლოდ ლიმი-  
ნათის ქარხანა, ცელოფანის პარკების სა-  
ამქრო და რამდენიმე უმნიშვნელო უბანი  
შეიერთეს. ეკონომიკურად ეს ისე გამოი-  
ყურება, „ჟიგულის“ მარკის მანქანას რომ  
„კამაზის“ საბურავები გაუკეთო, რადგან  
თელავს წარმოების მწყობრი სისტემა აქვს  
და მისი ხუთი დიდი საწარმო წელიწადში 7  
მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს. ახლა  
თელაველი ადგილობრივი მრეწველობის მუ-  
შაკები მოგების ნაწილს იმ დამტკრეული  
ბოთლების ასანაზღაურებლად ხარჯავენ, გურ-  
ჯაანის ლიმინათის ქარხნის ეზოში რომ  
აწყვია ღია ცის ქვეშ. საიდან მოხვდა აქ?

— სამინისტროდან გამოგვიგზავნეს 12 ვა-  
გონი „პეფსი-კოლას“ ცარიელი ბოთლი ახა-  
ლი საჩამომსხმელო საზისათვის. მერე ის  
საზი ალბათ გამრუდდა და ცარიელი ბო-  
თლებილა დაგვრჩა! ბევრი დაგვემტკრა, ბე-  
რი კი სავაჭრო ორგანიზაციებს მივყიდეთ  
ტარად! ეზოშიც ბევრი გვიყრია, იმტრევა,  
ნიავედება!.. — ამოხვებით დაამთავრა ლი-  
მონათის საამქროს უფროსმა დავით თე-  
ლორაშვილმა.

უთავობისა და უყარათობის ეს კლასი-  
კური მაგალითი ალბათ სათანადო რეაგი-

რების საგანი ვახდება, ისე როგორც თე-  
ლავის რაიკოოპერატივის საჯვების სის-  
ტემაში გამოვლენილი დარღვევები. ავიღოთ  
თუნდაც წიწმატიანის სახინკლე, სადაც გამ-  
გე-მზარეულად მუშაობს ჭიდაობისა და,  
საერთოდ, სპორტისაგან შორს მდგარი  
ლევან თედიაშვილი. ჩვენ ბოდიში გვინდა  
მოუხადოთ მის სენსიას, ლეგენდარულ  
სპორტსმენსა და შესანიშნავ მოქალაქეს  
ლევან თედიაშვილს, მაგრამ იმას კი ვი-  
სურვებდით, რომ კინოფილმში — „ხარება  
და გოგია“ — მის მიერ განსახიერებულმა  
გოგიამ ერთხელ მაინც შეიხედოს წიწმა-  
ტიანის სახინკლეში! ბოთლებში ჩასხმულ  
ობოკიდებულ ვაშლის წვესს, უსაშველოდ  
დაბინძურებულ მაცივარსა და ტალახიან  
იატაკზე დაყრილ 24 კგ უფაქტურო ხაშს  
რომ დაინახავს, ნაკლებსარწმუნოა, რომ  
მან სასადილოს პერსონალთან რომელი-  
მე დატოვოს ცოცხალი! ასევე გრილად  
ინახავდნენ ყოველგვარ სიბინძურეს ვე-  
ებერთელა მაცივრებში თელავის საგზაო  
ბუფეტ-გაერთიანების №3 სასაუზმის თა-  
ნამშრომლებიც, რაიკოოპერატივის ნასამხ-  
რალის სასადილოში კი, თელაველები ხუმ-  
რობით „ჩაძირულს“ რომ უწოდებენ, სა-  
მაცივრო დანადგარში იმხელა შავი ბუზები  
დაფრინავდნენ. წამსვე კარი გამოვიხურე  
იმის შიშით, ვაითუ, ხორცის მოზრდილი  
ნატრები გაიტაცონო. იგივე სურათი ვინი-  
ლეთ რუისპირის სახინკლეშიც, სადაც სიძ-  
ველისაგან ჩაშვებულ ხორცს შესანიშნავ  
ფონსა და მოწამვლის საშიშროებას ერთად  
უქმნიდა იქვე დაყრილი თეთრად მოქათქა-  
თე კაუსტიკური სოდა. სიძნელეს აღარ წარ-  
მოადგენს აქედან დასკვნის გამოტანა: არც  
რაიკოოპერატივის სხვა ობიექტებზეა  
მთლად დალაგებულად საქმე!..

როგორც ჩანს, ჯერ გურჯაანისა და თე-  
ლავის ყველა საწარმო-დაწესებულებაში არ  
შეუღწევია გარდაქმნის სიოს!



გარდაქმნა მეტად რთული პროცესია და იგი რომ მოახდინო, ჯერ მისი არსი უნდა შეისწავლო! სხვაგვარად მიზანს ვერ მიაღწევთ, რადგან გარდაქმნის სპექტრში უნდა აისახოს ცხოვრების პრაქტიკული მსარეობისა და პიროვნების სოციალური, ზნეობრივი თუ მორალური ნიშან-თვისებებიც! — შეთქმულებივით ერთხმად ამბობენ ორივე რაიონის მოწინავე ადამიანები — შრომის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი მიხეილ მარჩილაშვილი, არაშენდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ყაშიბარაშვილი, ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე როზინა მღებრიშვილი, იყალთოს კოლმეურნეობის ბრიგადირი გიორგი დედამიწოშვილი და სხვები. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რადგან გარდაქმნის პროცესში ფორმალისმიერ ელემენტების შეტანა ადამიანებს იმ ჩიტებს დაამსგავსებს, თელავის რძის კომპინატის წარმოების დარბაზში რომ დაფრთხილებენ და ერთნაირად აბინძურებენ რძის ჭურჭელსაც და რძესაც. აი, თელავის უნივერსიტეტის „ნაიკვარში“ კი ჩიტსაც გაუჭირდება შეფრენა, რადგან მისი შესასვლელი საშინლადაა ჩასერგილი საქონლით, თანამშრომლებს მეორე სართულზე დარბაზის ნაწილი აქვთ გადატისრული და იქვე სადილობენ, კოსტიუმების სექციის კი ტანსაცმლის ზომები არა აქვთ მითითებული, რაც უნერხულობს უქმნის მომხმარებელს. ასევე დიდი საშუალო აქვთ ჩასატარებელი გურჯაანისა და თელავის საყოფაცხოვრებო მომსახურების მესვეურებს, რომლებმაც, მართალია, ბევრი რამ გააკეთეს გარდაქმნის ფონზე და მრავალი ახალი ობიექტის ამუშავება-დამშვენებაც აქვთ განზრახული, მაგრამ ჯერ მაინც შორს არის ის დრო, როცა მომხმარებელი სრულიად კმაყოფილი დატოვებს მათ ობიექტებს. იგივე უნდა ვუსურვოთ თელავის წინდების ფაბრიკასაც, რომელიც ჯერ კიდევ ვერ იბრძვის სათანადო მონდომებით ხარისხის ამაღლებისათვის...

კავშირგაბმულობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდება, განსაკუთრებით თელავში (ნურც გურჯაანელები იფიქრებენ, რომ ამ მხრივ მათ თელაველებზე უკეთ აქვთ საქმე!), მოლუშული და დაბოღმილი სახეების გარდა ვერაფერს ნახავ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევხვდით თელავის კვანძის უფროსს ვალერიან მსუქნიშვილს, რომელიც იმხანად შვებულებში იმყოფებოდა. ამიტომ იძულებული ვართ ვურნალის ფურცლებზე დავუსვათ მას შემდეგი შეკითხვები:

1. როდის შეიცვლება დეკადურ-ბიჯგური სადგურის ძველი დანაშაულები?
2. როდის ჩაირთვება ტელეფონები, რომელთა მფლობელები უკვე მერამდენე თვეა, უშედეგოდ უჩივიან თქვენს უმოქმედობას?
3. როდის დაშთავრდება დიდი ხნის წინათ დაწყებული სატელეფონო ქსელის მშენებლობა სოფელ ფშაველში, რომელიც დღესაც მოწვევტილია რაიონის ცენტრს და მასთან კავშირის საფოსტო მტრეფების დახმარებით ამყარებენ?

4. როდის გაფართოვდება თელავის სატელეფონო ქსელი, რომელსაც 1970 წლიდან ბევრი არაფერი შემატებია?

5. როდის დაიწყება ახალი სადგურის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე დანადგარების ამუშავების საშუალებას მოგვცემს?


6. როდის დაშთავრდება საქალაქთაშორისო კავშირის ნი-არხიანი სისტემის მონტაჟი, რაც გააუმჯობესებს ხაზის მუშაობას?

მსუქნიშვილს ისიც გვინდა შევასწავლოთ, რომ ვიდრე ეს საკითხები არ გადაჭრება, მანამდე გარდაქმნაზე საუბარი კი არა, ოცნებაც არ შეიძლება!

როცა გარდაქმნაზე ვფრთხილავ, ძნელია ერთმანეთს შეუდარო წარმატება და წარუმატებლობა, გამარჯვება და დამარცხება. ამიტომ, როცა ნაკლოვანებებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ისინი წარმოდგენილია წარმატებათა ფონზე და რაც უფრო დიდია ეს წარმატებები, მით უფრო თვალში საცემი ხდება ნაკლოვანებებიც!

აღტყუბას იწვევს რაიონებში მშენებლობის ტემპები და მოცულობა. ელვის სისწრაფით შენდება საცხოვრებელი ბინები თელავში, კულტურის სახლი, ივანე ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი და კოლაგის სპორტდარბაზი გურჯაანში. გნებავთ, „ახტალის“ ცნობილ კურორტს ეწვიეთ, გნებავთ — შუამთის სანახებს, გნებავთ — ველისციხის კოლმეურნეობას, რომელიც საკუთარი ძალებით აგებს ვეება კულტურის სახლს! დამერწმუნეთ, სიხარულით გული აგვესებათ!


— ოღონდ ერთი მოტობოლის სტადიონი რომ გვექონდეს, ჩვენც გავიხარებდით! — მორცხვად იღიბება მოტობოლისტთა გუნდი



„კახეთის“ წვერი, თელაველი სიმონ მეზერიშვილი, — ჩვენი გუნდი ახლახან გახდა ჩემპიონი. არც საკავშირო პირველობაზე შეგვირცხვენია თავი, სადაც საქართველოს ნაკრები გუნდი ძირითადად „კახეთის“ ბაზაზე იყო დაკომპლექტებული! კინოფილმ „ცისფერი მთებისა“ არ იყოს, ალბათ ვილაც ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ „ეგ მოტობოლი დავგდებავს ჩვენ“, სინამდვილეში კი...

სიმონ მეზერიშვილს ალბათ კახურმა თავმდაბლობამ არ ათქმევინა, რომ იგი კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოტობოლისტი, რომ საქართველოს ნაკრების მიერ გატანილი 19 გოლიდან 18 მის ანგარიშზეა! არადა, გარდაქმნა ხომ ახალი სპორტული ბაზების და დარბაზების აშენებასაც გულისხმობს?!

**ჯანიკო გიორგალაშვილი, როლანდ ჯალანია, „ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტები. 1987 წლის ნოემბერი**




— დიდო შაპ-აბას! ნუ დაგვხოცე ამ კახეთში ვაზის აჩენვით! წელს ერთი-ორი სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტა დავამატოთ და ვაზის სახსენებელიც გაქრება!

# აოქსანოვ ქანთორი \* ჯორიკა

## რამე და რუმე

არა ქართი და თოვლით,  
 არა ზვირთებით!.. ფონით  
 ნაპირს გახვედი მგონი!  
 იფერებ „ერთგულ“ სალამს  
 და დიდკაცობის პატივს!  
 ზოგჯერ ცეცხლს მალავს ჩალა,  
 ზოგჯერ ბედს გვამცნობს კარტი!..  
 ხშირად ვერ ფანტავს ნაცარს  
 ქარი, დარი აქვს სურვილს!..  
 ფული – ცრემლები ნაცვლად,  
 გულის მაგიერ – ფული!..  
 შუბლი მაღალი ელავს,  
 მართლაც „დიდგორის ღირსი“!..  
 სხვისი გაქვს ოხვრა, წყენა,  
 ფიქრი, ღიმილი – სხვისი!  
 სხვისი სიმაღლით ჩანხარ,  
 სხვისი ცა გათბობს მხოლოდ!  
 მოკვდები, რახან არ ხარ,  
 სხვისი სიკვდილით ბოლოს!..  
 მეტი თაყვანი ფასადს  
 (რა სული, რისი სული?!)  
 ფული – ქიციანის ფასად,  
 მზე – ფული, რწმენა – ფული!..  
 ზოგჯერ თეთრს პქვია შავი,  
 ვარდისუბანი – გულდანს.  
 ზოგჯერ აღმ მიდის წყალი  
 რაკრაკით, რა თქმა უნდა!  
 იცი მარტივი წესი –  
 რა დროს რა უნდა ითქვას:  
 „მიტომ, რომ იმას ესმის“,  
 „რახან მას იქ რომ ის ჰყავს“,  
 სხვისი ნაბიჯით დახვალ,  
 სხვისი იმედით ცხოვრობ,  
 მოკვდები, რახან არ ხარ,  
 სხვისი სიკვდილით ბოლოს!  
 ნამყო, „რუმე და რამე“,  
 მიაქვს მტკვარსა და არაგვს!..  
 მტერსა აქვს შენი ღამე,  
 „შენი დღე კატას არ აქვს!“



## სასჯელი

ერთი შენაც ხარ! – ბედს ტანჯავ,  
 ტყუილად აცდენ სიცოცხლეს!  
 რა წლებიც შემოგენარჯა,  
 ღმერთი რატომ არ გიცოდებს?!  
 მიწა საკუთარ დღისთვის გსურს,  
 რა ძალას ძალუქს გაგყაროს  
 ფულში მოქცეულ სიხარულს,  
 ფულით გაზომილ სამყაროს!  
 რით გაამართლებ, რომ ცხოვრობ,  
 ყოფნა-არყოფნის თარიღებს?..  
 მიწამ რომ სული მოგთხოვოს,  
 ხელს ჯიბისაკენ წაიღებ!..



## იცი!.. არ იცი!..


იცი: ცა რატომ ნათდება,  
 იცი: თარსია ცამეტი!..  
 არ იცი, „იქით“ რა ხდება,  
 აგისსნი, სხვას თუ არ ეტყვი:  
 ცხოვრება ვისთვის ომია,  
 ვისთვის – სათლელი ატამი!..  
 გადატანილი გგონია  
 დღეები, გადასატანი!  
 ვთქვათ, უფროსი ხარ, შეგშენის  
 მიწა – ქალამნად, ცა – ქუდად,  
 მაგრამ ლაყვარდი ეგ შენი  
 ერთ მშვენიერ დღეს გაბუქდა!..  
 მოგხსნეს? – რა ცრემლი გერევა,  
 სულ ცოტა სხვებსაც აცალე!..  
 აქედან წახვალ, მერე რა? –  
 უკეთეს სკამზე დაგსვამენ!  
 კაცი გყავს? – ახვალ იმ ცამდე,  
 არც ნიჭი გინდა, არც ჩინი!  
 აქ არ ივარგებ? – იქ ცადე,  
 იქ არ ივარგებ? – მაშინ იქ!..

ღუმს მომლოდინე ფინიში,  
 ვარდსა კრუფს ეკლის მთესავი!..  
 მიდი და მოდი, ვინ გიშლის?!  
 აი, მორალიც ეს არის!..  
 თუ თეთრი შავში გერევა,  
 მიენდე დღეებს ნაფერებს!  
 ვერ შეძლებ? შეძლებ? – მერე რა?  
 შეძლებ? ვერ შეძლებ? – რა მერე?

იმ ბევრთან ერთად ეს ერთიც,  
 მამულო, „ჭირად“ გაგინდა:  
 თუ ქაპრის ბოლოს ჩაუშვებ,  
 „ასწორებს“, უფრო „ნაღდი“ ხარ,  
 უფრო ებრძვი და უარყოფ  
 დრომოჭმულსა და გათელილს.  
 ხარ მეტი თანამედროვე,  
 ანუ ხარ მეტი ქართველი!  
 ყველა ზნე პასუხს იწონის,  
 ვით საჯილდაო მძიმე ქვა.  
 წინათ თუ ქამარ გიჩანდა  
 „გრესს“ რომ იტყვიან, ის ერქვა.  
 თავისი რიდით კუნძარა  
 დღეს დავიწყების წლებს მიჰყავს:  
 „მე აქ ქალებში ვიკვებდი,  
 აე, ხონჯალ ქვე მჩენიყვა“.

## შედი პროფილაქტიკაში

ქება აყვავებულ მიწას,  
 ნათელ დღეებს ვაშა, ტაში!..  
 მაგრამ ერთი, თუ ღმერთი გწამს,  
 შედი პროფილაქტიკაში!  
 იქ სეირი უღიოთ თვალებს,  
 იქ ზვიმობს მცნება „მეტი“!  
 აბა, სცადე, შეედავე,  
 მერემონტე ურცხვად ვეტყვის:  
 „მე აქ მამაშენმა დამსვა?  
 დაფასება უნდა ვარჯას!  
 იმის... იმის... იმის ფასად  
 ამოტყელა ნერვებს ვსარჯავ.  
 თავში ბზე გაქვს, ახლა მჯერა,  
 გაგება აქვთ მეტი ვირთხებს!  
 წიგნი იცი? – მერე მე რა? –  
 მიდი წერე და... იკითხე!..  
 აქ ხელფასზე გაგჩერდები?!“ –  
 სარდალივით ვადმოგხედავს!..  
 დაკნინდები, დაგლანდები,  
 კრინტის დაძვრას ვერ გაბუდავ!  
 გაგაწითლებს ყურებამდე,  
 კოჭებამდე გაგასწორებს!..  
 სხვა რა გზა გაქვს, ფული ჩადე,  
 რას გასწვდები ღობე-ყორეს?!  
 შენ, ჰო, შენც ხარ ამის მოწმე,  
 ხელი დაღლილ გულზე მიდევს!  
 მართლები ვართ უფრო „ზოგჯერ“!  
 მაშ, ასეა, ჩემო ტიტე!..  
 ვიწყებ არახალ ამბავს  
 (არ თქვათ: შენც ხარ კარგი სვითო!),  
 ჩემს სატკივარს კი ვწერ, მაგრამ...  
 ჰოდა, ვწერო და... ვიკითხო?



— რაფა, თუ არ გარდავქმნილვარ, მაკლია რამე თუ?!

**საბარეჯოს** რაიონის ლაბალოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის დაცვის უფროსი ალასკარ უსუფ ოდლი ნაბისოვი დოინჯუმეოყრილი გაჩერებულიყო მეურნეობის სატრაქტორო ფარეხთან და დამცინავი ღიმილით შეპყურებდა, თუ როგორ წვალობდა ტრაქტორისტი უსუფ ომარ ოდლი მამედოვი ტრაქტორის ამუშავებაზე. ბოლოს, რომ არაფერი გამოუვიდა და, ტრაქტორი ვერ ამუშავა, მამედოვმა ხელები ჩვრით შეიწმინდა და გაგულისებულმა ჩვარი მოისროლა, ერთი მაგრად შეიკურთხა უმისამართოდ და ტრაქტორიდან ძირს გადმოხტა.

— რაო, არ ამუშავდა? ხომ გაგიგონია მკვდარი ლომისა კურდღელსაც კი არ ეშინიაო. ჰოდა, მოემვი მაგ ტრაქტორს, ვერ ხედავ მწყობრიდანა გამოსული? — ღიმილით გადასძახა დაცვის უფროსმა ნაბისოვმა და მამედოვი თითით მიისპო.

— მე კი მომინელა და... — ამოიხრა მამედოვმა და ეშმაკურად მოდიმარ დაცვის უფროსს თვალეში შეაცქერდა.

— არის გამოსავალი! — ხელები მოიფშენიტა ნაბისოვმა და მრავალმნიშვნელოვნად შეაცქერდა თვალეში მამედოვს.

— რა გამოსავალი? შე-კი კაცო, რა გამოცანებით მელაპარაკებო, თუ რამე შეგიძლია, დამეხმარე, ხომ ხედავ, გადავაკვდი ამ ყავდგასულ ტრაქტორს და ჭვრაფერი კი ვერ მოვუხერხე!..

## ნუ იძხ ავსა და ავილას ნუ გეუბნია!

ფელატონი

— დამეხმარე, დამეხმარეო, რომ იძახი, თავისით კი არ მოფრინდება, ჩემო ძმაო, ახალთახალი ტრაქტორი „ბელარუსი“? ცოტა ჭკუაა საჭირო!..

— თქვი, შე კაცო, გისმენ! — ერთი ათასი მანეთი რომ გაშოვინა, მეურნეობის დირექტორს შ. აბდულაევს გადავცემ და ახალ ტრაქტორსაც შენ გადმოგცემს!

— მაგდენი არ შემიძლია! 700 მანეთი შემიძლია ვიშოვო, ისიც დედაჩემს უნდა ვთხოვო, პენსიიდან აქვს დაზოგილი!..

— კარგი, ეგრე იყო! შენი ხათრით 700 მანეთზე დავითანსებ დირექტორს! ასეა ეს, აბა! ახლობელ კაცს ხომ უნდა დაეხმარო გაჭირვებაში? ამ საქმეს ნუ გადადებ! ფულს როდის მოიტან?

დედაჩემს მოველაპარაკები!.. მოდი ხვალ ჩემთან სახლში და ფულიც ჩაიბარე! დედამ პერზარა მუსაევამ პენსიიდან დანა-

ზოგი 700 მანეთი ხელის კანკალით ვადართავლა და მათთან სტუმრად მოსულ ნაბისოვს პირადად გადასცა. თან ვედრებით მიმართა:

— აბა, შენ იცი, შვილო, ეს 700 მანეთი თქვენს დირექტორს გადაეცი! დამეტანჯა შვილი, ძველი ტრაქტორის გადამკიდე! შენ კი დანმარებისათვის ღმერთი გადავიგინდის!

ნაბისოვმა 700 მანეთი ჯიბეში არჩეინად ჩაიდო, დედა-შვილი დაარწმუნა, რომ უსუფ მამედოვი სულ მალე მიიღებდა ახალთახალ ტრაქტორ „ბელარუსს“, დაემშვიდობა მათ და სახლისაკენ გასწია.

ორ წელზე მეტი გავიდა. ნაბისოვის აღთქმული ახალი ტრაქტორი არსად ჩანდა!.. ბოლოს მამედოვმა გაბედა და ფულის დაბრუნება მოსთხოვა ნაბისოვს. ამ უკანასკნელმა მხოლოდ 300 მანეთი დაუბრუნა. დანარჩენი თანხის დაბრუნებაზე კი უარი უთხრა.

მოტყუებულმა და განაწყენებულმა მამედოვმა განცხადებით მიმართა სათანადო ორგანოებს.

საბარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ალასკარ უსუფ ოდლი ნაბისოვს 3 წლით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა იმავე ვადით პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ზაალ მესხეშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

სახშირი და მოხატებული და, მე კი ამ ხოდვის ახლოებით უნდა რაღაცეა სხვადასხვა მხარეზე.

სამოქალაქო კონგრესის ხალხი რომ არის მხარედ... არის კონგრესი, კონგრესის ხალხი რომ არის მხარედ...

სამოქალაქო კონგრესის ხალხი რომ არის მხარედ... არის კონგრესი, კონგრესის ხალხი რომ არის მხარედ...



ღიმა - ხუთ საკონსტრუქტორ ფაბრიკა გაიჭრა, ხოცი - ფურის ჭარხარა, ხოცი - კოლბისის ხალხების ორგანიზაცია...

# სამოქალაქო კონგრესი

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

პირისა თორე დღეზე მეტიასდა სახალღო შეგვიტანეს შეწყვეტა - ერთგარა ვადგუმა პერფოცხს...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...



არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

თუ ვინ სახელი ვეძვი და ვაფიქრებდებო. მაგარი ახარერი ვუძახის. მაგეთის მითხვია და პანკია ვუძახევ ვაჩვენებ...

მინათს მთერი დღეზე მეტიასდა სახალღო შეგვიტანეს შეწყვეტა - ერთგარა ვადგუმა პერფოცხს...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...

არა ჰეგრი ვფარგობ, როგორც თქვი, დავითო... კომუნიზმის, რომ ხედავი მისი თორმე ხალხურ ვადგომე პრეტენზია...



რა ბედნიერი ვარ! — არ აცდიდა სულის მოთქმას გულიკოს და სახეს გამაღებით უკონცია. ბოლოს, თვითონაც რომ დაიღალა და გულიკოს დაღალა, მე მომიბრუნდა. — ჩემი დეიდაშვილია, ოთხი წელია, საზღვარგარეთ არის წასული სასწავლებლად და ახლა ჩამოსულა!.. დედა, რა კარგი დედა! — ჭელოპინობდა გახარებული.

საღამო კარგი მქონდა, კმაყოფილი ვიყავი, რასაც შამპანურისაგან ნაბობები მსიარული სასიათი და დამატებითი სელგაშლილობა ემატებოდა. ამიტომ ერთი წუთითაც არ დაფიქრებულვარ, ისე მოვიწყვი შემოსწრებული სტუმრები მაგიდასთან. წავავლე ხელი ბოთლს და... თურმე სულ გამოგვიცლია!.. გამოგვიცლია-მეთქი, ვამბობ, სინამდვილეში მარესს ის ერთი ჭიქაც არ დაუღევი, თავიდანვე რომ დაუესხი.

მიჭირავს ხელში ცარიელი ბოთლი და ვეღარ მომიფიქრებია რა ვქნა. გასურებულ ტვინს უეცრად ცივი წყალი გადაუხსნა და ჩემს რეალურ და სავარაუდო ბიუჯეტს დაუბრუნდა. მარტო ის ოცდახუთი მანეთი კონვერტში რომ მეგულება, ძნელად თუ აუჯა განუვლ ხარჯებს, მაგრამ ეს არ მადარდებს. ცტა-ოდენი ჯიბის ფულიც ხომ მქონდა საპაემანოდ გადაღებული. ახლა რა ვქნა. როგორ მოვიქცე. მასპინძლის წესი, იცოცხლე, კარგად მესმის, მაგრამ საბანი როგორღა გამწვდება კიდევ მეტად რომ გავიჭიმო?! გამოსავალი ვერაფერი დჭვინანე ვარდა ერთისა — უნდა შევუკვეთო მეორე შამპანურიც. სულაც რომ ტანსაცმლის დაგირავება დამჭირდეს, უკან არ დავიხევი!

შამპანური დაუესხი სტუმრებს და შეხვედრის სადღეგრძელო შევთავაზე. ვიღიშები, ვოსუნჯობ, მაგრამ ჩემი გონება სულ სხვაგანაა, მათემატიკის სფეროში, რომელიც არაფერ სანუგეშოს არ მიჭადის. მეორეს ვინ ჩივის, ვაითუ, იმ პირველის ფულიც არ აღმომაჩნდეს, მერე სად მიდიხარ, ვილას დაარწმუნებ, რომ თაღლითი არა ხარ?

ჩემად ჯიბისაკენ გავაპარე ხელი და კონვერტის ღია კუთხიდან ჩავაჯი შიგ. ხელში არაფერი მომხვდა და შევატყვე; როგორ მეცვალა ფერი.

— ცუდად ხომ არა ხარ? — იწამსვე შემამჩნია მარხმა ნირის შეცვლა. — რაღაც გაფითრებული მენკენები.

— არა, საიდან მოიტანე, — ამოვილულულე ვაჭირვებით ისე, რომ ჯიბიდან ხელი არ ამომიღია. და ოი, საოცრება! კონვერტში თითებმა რაღაც ზედმეტი ქალაღლი იგრძნო. სასწრაფოდ ამოვაცურე, მაგიდის ქვეშ შევჯავი და ქურდულად და შეშფოთებით გავაპარე მისკენ თვალი. ალბათ ფერიც უმაღ დამიბრუნდა, განწყობილებაც უნახავი გამიხდა და სალაპარაკოდაც ამება ენა. — რის გაფითრება, რა გაფითრება, ყველა კარგ სასიათზე ხართ და მე ცუდზე ვიქნები?! უბრალოდ, სადღეგრძელოს ვფიქრობდი, ისეთი, რომელიც ყველასაც მოგეწონებოდათ, დღევანდელ დღესაც შეესაბამებოდა და ორიგინალურად იქნებოდა, — დაუუმატე ფრთაშესხმულმა.

— მერე რა, მოიფიქრე? — თითქმის ერთდროულად შემაკითხა ოთხივე.

— როგორ არ მოვიფიქრე. მე მინდა კონვერტი ვადღეგრძელო. დიას, უბრალო ოთხკუთხა ქალაღლი, რომელიც, ვინ იცის, რას გვიქადის, რას გვიპირდება, რის თქმა უნდა და რომელიც ზოგჯერ პირად შესხედრებზე უფრო ტბილი და სასიამოვნოა...

კიდევ აღარ მასხოვს, რა სასწაულები არ მივაწერე კონვერტს, როგორ დაუუკავშირე ჩვენს დღევანდელ შეხვედრას, მაგრამ იმ წუთს ყველამ მომიწონა სადღეგრძელო. და იმ წუთმა, ასე მეჯერა, გადამწყვეტი როლი შეასრულა მარხისა და ჩემს ცხოვრებაში. მეორე ბიძინას ცხოვრებაშიც, ვინაიდან იმ ერთი თვის ნაშრომის ანაზღაურებისათვის რომ მივედი ქარხანაში, მითხრეს, იგი სამსახურიდან მოსხნესო.

ასეთია ჩემი პირველი კონვერტის ისტორია. მეორე და მესამე კონვერტებზე, როგორც უკვე შევთანხმდით, მოდიო, ნუღარ მკითხავთ!




უსიტყვოდ

# საქართველო

- **ნარკომანი** რ ვ ი ა ნ ე ბ ს არ საზავს, რადგან კიფი, საავადმყოფო და სასვენია ანლო-ანლოსაა.
  - **ნარკომანმა** თქვა: — ნემსის გაკეთებაში შემეჯიბრონ: თუ გავიმარჯვე, სიმარჯვისათვის მარჯვენა მკლავში მარცხენით, ნიშნად გამარჯვებისა, მორფის ორმაგი დოზა მომიმარჯვონო!
  - **ნარკომანის** სიკვდილზე მისმა კოლეგებმა მოიყარეს თავი და მდიდრული ქელები გაუმართეს, დანა-ჩანგლის მაგიერ შპრიცებს სმარობდნენ, ხოლო მიცვალებულს ცარიელი ამპულების ძეგლი დაუდგეს!..
  - **ანაშთი** მოვაჭრემ დაცინვით გადახედა ქორვაჭარს: — შენისთანა მეწვრილმანესთან რა საქმე მაქვს, მე თვით სიკვდილს ვყიდო!
- არსენ შიკლაური,**  
გორის ეკონომიკური ინსტიტუტის დოცენტი.
- **ზრახოლოვმა** დაიტრაბახა: შესრულებაზე რა მოგასენოთ, მაგრამ დადგენილებებს სშირ-სშირად ვაპსუსობთ დადგენილებებითვეო.
  - **ვილახავე** დაიტრაბახა: დადგენილებებს დადგენილებებითვე უნდა ვუპსუსოთ, რომ ჩვენც ჩაგვეთვალოსო.

# ზღვისპიკილეო, შიიაკოთ აბკოლაუკის ნიგნის მალაზიოში!



დიდხანს ვფიქრობდი: საოცრებოთა ეპოქაში ვცხოვრობოთ, ნოთუ ჩემს მშობლიურ კუთხეში ვერაფერი უნდა ვპოვო გასაკვირი-მეთქი. ვფიქრობდი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, სანამ ქალაქ ამბროლაურის წიგნების მალაზია საგულდაგულოდ არ დავათვალიერე და იქ გასაყიდად გამოყენილი წიგნები დაკვირვებით არ შევისწავლე.

პირველი, რამაც ყველაზე უფრო გამაოცა, ის იყო, რომ თურმე რაჭა სანაოსნო მხარე უოფილა. მერე რა, თუ არგონავტებმა, რომლებმაც გაბედულად შემოაცურეს თავიანთი „არგო“ რიონში, რაჭამდე ვერ მოაღწიეს?! მერე რა, რომ საერთოდ მდინარე რიონი არც წინათ და არც ახლა სანაოსნო მდინარედ არსად არ არის აღნუსხული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პატარა, სამ-ოთხმო-რიანი ტიფულებს, რომლებიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ სოფელ გურიიდან კალადილამდე დაფარფატებდნენ ონჭიშვილი მეტივე-ების „კაპიტნობით“!

შემონათქვამს ცეკავშირის წიგნით ვაჭრობის მუშაკებმა ერთი ხელის მოსმით გადაუსვეს ზაზი და ამბროლაურის წიგნის მალაზიაში გასაყიდად შემოიტანეს ვანტანგ ბარათაშვილის „საზღვაო ტერმი-ნოლოგია“. შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებთათვის ესოდენ საინტერესო წიგნი მაღალმთიან რაჭაში მოხვდა, ვითარცა სამუაროს სხვა პლანეტიდან გამოტყორცნილი უცხო სხეული და ელოდებო-მეოცე საუკუნის არგონავტებს, თუმცა საეჭვოა, რომ საზღვაო ტერმინოლოგიაში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფრიალ გათ-ვითცნობიერებულ ნაოსნებს ეს წიგნი დასჭირდეთ. ამიტომ, ზღვის-პირელებო, ისარგებლეთ შემთხვევით და შემოიარეთ ამბროლაურის წიგნის მალაზიაში. სადაც რიგგარეშე შეგიძლიათ შეიძინოთ „საზ-ღვაო ტერმინოლოგია“!

ამ მალაზიაში ვერ იპოვით ჩვენი ბავშვებისათვის საყვარელ „რწყილსა და ჭიანჭველას“, ალბათ გახსოვთ, როგორ ანტა, დახტა და მიაღდა რწყილი რუს. რაჭაში ხომ უთვალავი რუა და სახტომი ადგილებიც იმდენია, რომ მთელი ქვეყნის რწყილებს ეყოფათ. ერთი

სიტყვით, ამ ზღაპარში ჩვენთვის გაცილებით უფრო ნაცნობი სიუ-ვეტები და სიტყვებია, ვიდრე „საზღვაო ტერმინოლოგიაში“.

მარტო პატარებს კი არა, ჩვენ, დიდებსაც გვაქვს სწავლად უფრო ამ თემასთან დაკავშირებით: ისედაც მოსახლეობამცირე რაჭაში რუსული ლიტერატურის მკითხველთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლე-ლია. დიდი ხანია ვნატრობთ რუს კლასიკოსთა თხზულებებს თუ ცალკეულ ნაწარმოებებს. რა სჯობია დედანში ტოლსტოის, პუშკინის, ჩეხოვის, გორკის წაკითხვას! მაგრამ ჩვენს სურვილს ჯერჯე-რობით აღსრულება არ უწყრია. სამაგიეროდ ამბროლაურის წიგნის მალაზიაში უხვად არის რუსულ ენაზე დასტამბული თ. ვიშენისკის „კარაქის წარმოება“ (ჩვენ კარაქის მხოლოდ მოხმარება ვიცით, მისი წარმოებისათვის კი სულ „უშინიშენლო“ რამ — რძე არ გავაჩინა!). ასევე რუსულ ენაზე გვთავაზობენ ამ მალაზიაში ბ. ჯორ-ბენიასის „ქართულ ზმნას“, ნ. ჩიხლაძის „ქართველ ქალებს“, ვლ. მაი-სურაძის „მოგზაურის ნაამბობს“ და სხვ. ამ წიგნებს ჩვენში გამ-საღებელი არ ჰყავს უბრალოდ იმის გამო, რომ ისინი ქართულა-დაც საქმაოდ მოგვეპოვება.


ამ ფაქტებს რომ ვიწერდი, წიგნის მალაზიის გამგეს მ. რეზია-შვილს ვკითხე:

— რაშია საქმე, მზია, რატომ არის ასეთი შეუსაბამო მკითხ-ველთა სულვილებსა და გასაყიდად შემოტანილ ლიტერატურას შორის?

— ჩვენ ცეკავშირი არ გვეკითხება, რომელი წიგნები გვჭირდე-ბა და რომელი არა. რასაც გვაძლევენ, ის მოგვაქვს! — იყო პა-სუხი.

ჰ, როგორ გვინდა, რომ ცეკავშირის შესაბამისი სამსახური რაიონებში გახაგზვნ წიგნებს უფრო გონივრულად ანაწილებდეს!

ვაჰა სოსხაძე  
(ქ. ამბროლაური)





ნ.ბ. გ. ლომიძისა

— ხალხო, მეც მინდა ჩემი სახლი!





3.11 61 88



# გუშინ, დღეს, ხვალ, ანუ გარდაქმნამდე და გარდაქმნის მერა


როდესაც საქმე მოგანდევს, გაცნობა უნდა ერთხანს. რომ გაცნობი, სუყველა რითი სუნთქავს და ფეთქავს, გეგმებს დააწყობ — რით იწყებ, რა გააკეთო დღეს, ხვალ?.. საქმეს დაიწყებ, როგორც კი შუა საქმეში შეხვალ, სულ სხვაგან გადაგიყვანენ, — „იქ გვეჭირდებიო ეხლა“ ის დაწყებული დარჩება, ვინა იფიქრებს მასზე? აშენებული ინგრევა, თვალს დახუჭავენ ფასზე!.. შურის თვალს გამოიბამენ გამრჩე და მცოდნე კაცზე, დამილი ხელობადა აქვთ, მარჯვენ არიან ფარსზე. — „იქ ხარ საჭირო!“ ვითხოვენ. მიგითითებენ ხელით: მოგაშორებენ დაწყებულს. გადაგიყვანენ ლხენით!.. სულ წყალში გადაგიყვრიან იმ ნაშრომს უძვლო ენით! შენგან დაწყებულ შენობას ერთი აგურიც აკლდეს, შენს ნაცვლად ვისაც ნიშნავენ, არ მოუმატებს რასმე!.. და თუკი არ დაანგრია, მადლობა უთხარ ასტერი!.. სხვაგან დაგნიშნეს!.. დაიწყებ, საქმეს ააწყობ უკვე, გაფართობ ნათესებს და გზებად აქცევ შეუქებს, გვერდით უდგები მშრომელებს, ათელვარებ შეუქებს!.. — „ისევ ეგა ჩანს“ — ჩაბბერენ შურის განგაშის ბუქებს!.. — „ეგ ჩამორჩენილს ამოსწევს“ — სხვა საქმის ცოდნას „უქმებს“.. — „მაგის ადგილზე რომ ვიყო, გავაკეთებდი უკვე!“ სხვა კიდევ — „ნაცარს რად გვაყრის, თერთად გვაჩვენებს მუქ ფერს!“ — „თავი რომ მოაქვს, ჩვენც ვიცით, თავს და კულს ვისაც უქნევს!“ — „ვითომ რა?! ჩვენზე კარგია ყველა რომ გუნდრუკს უქმევს?“

შურის ისარი მიწანში მოხვედრილია უკვე. კვლავ გიბარებენ: გადაწყდა, გამოგიცვალონ კუთხე!.. უფროსი: „საქმეს აკეთებ, დიდი საქმიოა ჯგაობ! ისევ მამული გთხოვლობს, სხვაგან გვეჭირდები, ძმაო!.. ქვეყანამ იცის, დაბხურე მრავალს მშრომელის ქული!.. სხვაგან გადახვალ!“ — უფროსის თხოვნა ბრძანებას უდრის! იმით აფასებს სუყველა, გამწევი როა — ღაბა, და ახალ საქმეს გაბამენ, — მეტი რა გჯაა, ახა?! თვითონაც კარგად იციან, ამას რად უნდა ფიცი? აგორებული ქვა არი — ხავს ვერ იკიდებს, იცი! მაგრამ რას ეტყვი? მოდინარ და გულში ღამის სტირი! — ასეთი იყო ცოტა ხნის წინ მუშაობის სტილი!.. ეს იყო წინათ, ახლა კი... შესდექ, პოეტო, შესდექ! ეს გარდაქმნამდე ხდებოდა, ხოლო გარდაქმნის შემდეგ: დღეს შეიცვალა ბევრი რამ, გარდაქმნის ჯარი რეკავს. დღეიდან ვარდს ვარდს ვუწოდებთ, ხოლო ეკალს კი — ეკალს.

არ გატოლდება დღეიდან ცერა თითი და ნეკა, გამრჩეს ერქმევა გამრჩელი, ქვას — ქვა და დეკას — დეკა. დღეიდან ახე იქნება: მადლი ექნება მიწანს და სამართალი გვექნება: ბეწვს შუა ვუოფდეთ თმისას!.. სხვას ჩვენ არაფერს გავატანთ, არც ჩვენ წვაიღებთ სხვისას! გარდაქმნა გამარჯვებაა ჭერეთ საკუთარ თავზე! ცხოვრების შუაგულში ხარ, შენ არ გაუდგე განზე!.. გარდაქმნა გამარჯვებაა, დიას, საკუთარ თავზე!.. და თუკი ნაღდი სიმართლე დაგვიკაუნებს კარზე, შეგხვდებით ხელეგაშლილი, ყველა სიძინდეს დაქმლევთ! გარდაქმნის გამარჯვებისთვის ხელი დავიდოთ ხმაღზე!

შოთა ხრეაშვილი

# უცხოური იუმორი



**ექიმი:** — თქვენ ამბობთ, რომ მარცხენა ფეხში ტკივილები გაწუხებთ? ეს სიბერის ბრალია, ჩემო კეთილო!

**პაციენტი:** — ეს უაზრობაა! მარჯვენა ფეხიც ზუსტად იმავე ხნისაა, რამდენისაც მარცხენა!

\* \* \*

**ტურისტის აფრიკაში ადგილობრივ მცხოვრებს ვკითხება:**

— აქ ცურაობა შეიძლება? ზვიგენები ხომ არ არიან?  
— გულდამშვიდებული იცურავეთ, ზვიგენები აქ ვერ მოდიან, ნიანგების ეშინიათ!..

\* \* \*

— ბატონო ექიმო, მშვენიერია ის დასაძინებელი წამალი, ამ ბოლო დროს რომ გამოიჩინეთ.

— კიდევ გინდობათ რამე?  
— დიას! გასაღვიძებელი წამალი!

\* \* \*

— როცა გაყინული ადამიანის გაცოცხლება გსურს, ყინულით უნდა დაზილო!

— რა ჭკუის კოლოფი ხარ! კი მაგრამ, ზაფხულში რა ვქნა?

\* \* \*

— იცი, რა მოწყენილი ვარ? — ეუბნება ერთი მემამულე მეორეს.

— წადი და ინადირე! თუ გინდა, ჩემს ძაღლებს გაგატან!

**ერთი საათის შემდეგ „მონადირე“ მობრუნდა:**

— მშვენიერი დრო გავატარე. ძაღლები კიდევ ხომ არა გყავთ?

\* \* \*

**პაციენტი — ექიმს:**

— ბატონო ექიმო, თვალწინ წამდაუწუმ რაღაც წრეებს ვხედავ!..

— ნუ დარდობთ, სათვალეს გამოგიწერთ და გავივლით!

**ერთი თვის შემდეგ, ექიმი — პაციენტს:**

— როგორა ხართ, ხომ უკეთესად?

— დიას, ბატონო ექიმო, გმადლობთ! ასლა წრეებს ბევრად უფრო მაგადავხედავ!..

\* \* \*

**ჯამბაზი — ცირკის დირექტორს:**

— იცით, ის მაისური ვიპოვე, ერთი წლის წინათ რომ დაიკარგა.

— მართლა? სად?

— პერანგს ქვეშ მცმია.

\* \* \*

**ქაცი ნატურალისტების მალაზიაში თუთიყუშის საყიდლად შევიდა.**

— სამწუხაროდ. თუთიყუშები აღარ დავგრჩა, — ამბობს გამყიდველი, — შემიძლია კოდალა შემოგთავაზოთ!

— ლაპარაკი იცის?

— დიას!.. მხოლოდ მორზეს ანბანით.

\* \* \*

— ბატონო ნოვაკუ, თქვენ აქ ქიმიურ ექსპერიმენტებს აწყობთ?

— არა, ეს ჩემი მეუღლის ტულეტის მაგიდაა.

\* \* \*

— იცი, დღეს ტყეში მელამ წინ გადაშირბინა! — ამბობს მონადირე.

— მერე რატომ არ ესროლე?

— მე ხომ კურდღელზე ვიყავი სანადიროდ წასული!

\* \* \*

— ამ სოფელში ყველას ალვიძებს ჩემი მამალი, — ეუბნება დიასახლისი ახალ დამსვენებელს.

— ძალიან კარგი! გთხოვთ გადასცეთ, რომ დილის 8 საათზე გამაღვიძოს!

\* \* \*

**მგზავრმა ტაქსიში პიჯაკის გახდა დააპირა. მძღოლი აფრთხილებს:**

— ბატონო, აქ გარდერობი არ არის!

— დროზე ვერ თქვით? ფეხსაცმელები ხომ გართავებო!

ჩეხურიდან თარგმნა სანდრო ჭელიძემ

## ბარათი ნიანბს

მიწდა პირდაპირ საქმით დავიწყო და მივმართო შურნალ „ნიანბს“ რედაქციას: რამდენიმე წელიწადია პეროვსკაიას ქუჩის №13-ში საფოსტო ყუთები სავალალო მდგომარეობაშია — კედელზე მიჭედებული ორ მწკრივად და არც ერთი მათგანი არ იკვებება. არც ერთ მობინადრეს არა აქვს გასაღები და რომც აქონდეს, ვერ გააღებს, კლიტის ენა საღებავისაგან ჩაჭედებული და ჩაფანტულია. ამის გამო ყოველდღიურად იკარგება გაწეუები, წერილები, სხვადასხვა საქმიანი უწყებები... ზოგი რამ როგორც ჩანს, თვით ფოსტალიონსაც არ მოაქვს. შეიძლება მას დადარჯებოდი, მაგრამ ისიც არ მოდის ერთსა და იმავე დროს. „ლიტერატურული საქართველო“ აღარც მასსოვს, როდის მოვიპოვე. ამიტომ იძულებული ვარ, პარასკევს კიოსკებში ვიქნებო. ხშირად იკარგება „თბილისი“, „კომუნისტა“, ხოლო ზოგჯერ სხვისი გაწეული აღმოჩენილა ჩემს მოღია-ვებულ ყუთში, რომლისთვისაც შემთხვევით მისწვია.

ყოველივე შემთხვევით შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ შარშან შურნალ-გაზე-

თების გამოწერა პირადად მე ვერ ვახერხებ, ვინაიდან ამას არავითარი აზრი არ ექნებოდა. რამდენჯერმე მივმართე სახლმმართველობას. კანტორის უფროსმა მითხრა, რომ ორი წელიწადია ამის თაობაზე ემუდარება კალინინის რაიონის საქსპლუტაციო-საბინაო ტრესტს, მაგრამ როგორც ყველაფერიდან ჩანს, ყურს არაეინ იბერტყავს!..

ჩვენ შევეჩვიეთ რომ ცხელი და ცივი წყალი ერთდროულად ძალზე იშვიათად მოდის, სხვა ბევრ წერს რომ უსაიმოვნებასაც შეწვეული ვართ, მაგრამ დღევანდელ დღეს შურნალ-გაზეთების გარეშე დარჩენა მეტისმეტად დიდი და თანაც ყოვლად დაუმასხურებელი სასჯელი იქნებოდა.

თქვენი შურნალი მუდამ დროულად ექმნება უსამართლოდ დანაგრულ მოქალაქეებს და, იმედია, შეძლებისდაგვარად წვენს გასაპირსაც მიხედავთ!

ქ. თბილისის პეროვსკაიას ქ. №13-ში მცხოვრებ მობინადრეთა სახელით —

მგზავრი კვიციანიშვილი

საბარათო და იუმორის შურნალი „ნიანბს“ №2 (1756). იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლძაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), კახუა ამირეჯიბი, ნოზამი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბენან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჭანუდ ჩარკვიანი, თამაზ წიგვივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

გადაცა ასაწყობად 18. 12 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 01 88 წ. ქალაქის ზომა 60x90/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამოცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2971 უე 09208. ტირაჟი 140000 შურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 850008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგებების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმულაქების — 99-02-38, მდივან-მემაქიანი — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაბ. ინდექსი 76137



7-88

88-61

პლაკატი ზ. შირვაძის  
გრაფიკული  
სტუდიის



სანთბნაძე